



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



### განკარგულება №2/3

2017 წლის 13 იანვარი

ქალაქი ფოთი

“თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### მუხლი1.

შეტანილ იქნას ცვლილება “თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულებას დაემატოს დანართი 4 და დანართი 5, თანდართული რედაქციით.

##### მუხლი2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

##### მუხლი3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი

N	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო ზედა ზღვარი (ლარებში)
1	დირექტორი	1250-00
2	დირექტორის მოადგილე	900-00
3	სტრუქტურული ერთეულის განყოფილების ხელმძღვანელი	800-00
4	მთავარი ბუღალტერი	800-00
5	ბუღალტერი	600-00
6	მთავარი სპეციალისტი	600-00
7	უფროსი სპეციალისტი	500-00
8	სპეციალისტი	450-00

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სახელოვნებო ცენტრის“ თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი

N	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო ზედა ზღვარი (ლარებში)
1	დირექტორი	1250-00
2	დირექტორის მოადგილე	900-00
3	სტრუქტურული ერთეულის განყოფილების ხელმძღვანელი	800-00
4	მთავარი ბუღალტერი	800-00
5	ბუღალტერი	600-00
6	მთავარი სპეციალისტი	600-00
7	უფროსი სპეციალისტი	500-00
8	სპეციალისტი	450-00

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია